

# წილის ნასყიდობის ხელშეკრულება

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“

სს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციას“

*(გამყიდველები)*

და

---

*(მყიდველი)*

შორის

(შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ საწესდებო  
კაპიტალში 100%-იანი წილის წილის შეძენის თაობაზე)

2019 წელი  
ქ. თბილისი

წინამდებარე წილის ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დაიდო \_\_\_\_\_  
წელს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (საქართველოს  
კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი:  
404391975, ფაქტ. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ. #8, მე-4 სართ.),  
წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით,

და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (საქართველოს კანონმდებლობის  
საფუძველზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 206237491,  
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი,  
#21), წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით,

შემდგომში ერობლივად მოხსენიებულნი როგორც „გამყიდველები“

და

მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_, შემდგომში „მყიდველი“;

გამყიდველები და მყიდველი ცალ-ცალკე მოიხსენებიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად  
როგორც მხარეები.

### პრეამბულა

ვინაიდან, წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების დღის მდგომარეობით,  
„გამყიდველები“ საკუთრების უფლებით ფლობენ შპს „ქართლის ქარის  
ელექტროსადგურის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404957338, იურიდიული მისამართი:  
საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #6-8-10 (იგივე 6-10)) (შემდგომში  
„საზოგადოება“) კაპიტალის 100%-იან წილს შემდეგი პროპორციულობით:

- სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ – 50.1%
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ – 49.9%

ვინაიდან, გამყიდველების მიერ 2019 წლის \_\_\_\_\_ ჩატარებული აუქციონში  
გამარჯვებულად გამოვლენილ იქნა მყიდველი, რომელმაც ზეპირი ვაჭრობის  
შედეგად დააფიქსირა უმაღლესი ფასი \_\_\_\_\_ ოდენობით;

ვინაიდან, მხარეთა შორის \_\_\_\_\_ წელს გაფორმდა წილის ნასყიდობის წინარე  
ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მხარეებმა იკისრეს ვალდებულება

წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში გაეფორმებინათ წინამდებარე წილის ნასყიდობის ხელშეკრულება;

**ვინაიდან,** წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის მხარეთა მიერ სრულად და ჯეროვნად არის შესრულებული მხარეთა შორის \_\_\_\_\_ წელს გაფორმებული წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

**ამრიგად,** წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ურთიერთვალდებულებების, განცხადებებისა და გარანტიების გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ძალით, „გამყიდველები“ გადასცემს „მყიდველს“ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ საწესდებო კაპიტალში 100%-იან წილს;
- 1.2 სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ მყიდველისთვის გადაცემული 50.1%-იანი წილის შეძენის ფასი შეადგენს \_\_\_\_\_.
- 1.3 სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ მყიდველისთვის გადაცემული 49.9%-იანი წილის შეძენის ფასი შეადგენს \_\_\_\_\_.
- 1.4 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის მყიდველის მიერ თითოეული გამყიდველისთვის სრულად და ჯეროვნად არის გადახდილი წილის შეძენის ფასი.
- 1.2. წილის შეძენის ფასი მოიცავს ყოველგვარ გადასახადს, მოსაკრებელსა თუ მსგავს გადასახადებს. „მხარეები“ იღებენ ვალდებულებას, განახორციელონ კანონით განსაზღვრული ყველა საჭირო ქმედება და დაეხმარონ ერთმანეთს შესაბამისი გადასახადების გადახდასა და საგადასახადო ორგანოების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენაში.

### 2. „წილის“ ნასყიდობის რეგისტრაცია

- 2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციის დღიდან. ამასთან რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს მყიდველი.
- 2.2. თითოეული „მხარე“ კისრულობს ვალდებულებას, რომ მიმართავს ყველა გონივრულ საშუალებას, რათა განახორციელოს ან უზრუნველყოს განხორციელება ნებისმიერი მოქმედების, რაც საჭირო, მიზანშეწონილი ან რეკომენდებულია მარეგულირებელი კანონმდებლობის და/ან „კომპანიის“ წესდების თანახმად და ხელი მოაწეროს და წარადგინოს ყველა დოკუმენტი ან საბუთი, რაც მოითხოვება, წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესრულებისათვის და მასში გათვალისწინებული გარიგების დადებისა და მისთვის კანონიერი ძალის მინიჭებისათვის.

### 3. განცხადებები და გარანტიები

- 3.1. **თითოეული „მხარე“ მეორე „მხარის“ წინაშე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:**
- 3.1.1. (ა) კანონიერად რეგისტრირებულია და არსებობს მისი რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად; და (ბ) გააჩნია ყველა სახის უფლებამოსილება (კორპორატიული და სხვა), რათა ფლობდეს ქონებას, განახორციელოს თავისი ამჟამინდელი საქმიანობა და ხელი მოაწეროს წინამდებარე „ხელშეკრულებას“;
- 3.1.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა ემყარება ამისათვის აუცილებელ ყველა კორპორატიულ ქმედებას; „მხარეებმა“ განახორციელეს ყველა კორპორატიული მოქმედებები, რაც საჭიროა წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის, გადაცემისა და შესრულებისათვის. ყველა საჭირო კორპორატიული თუ უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებული მოქმედება, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს ცალკეულ შემთხვევებში, „მხარეთა“, მათი დირექტორების და პარტნიორების/აქციონერების მხრიდან წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების, გადაცემისა და შესრულებისათვის განხორციელებულია;
- 3.1.3. წინამდებარე „ხელშეკრულება“ კანონით დადგენილი წესით იქნა ხელმოწერილი „მხარეთა“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და წარმოადგენს კანონიერ, ნამდვილ და შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე ვალდებულებას, რაც აღსრულებადია „მხარეთა“ წინააღმდეგ მისი დებულებების შესაბამისად.
- 3.2. **„მხარის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა და შესრულება არ:**
- 3.2.1. არღვევს არცერთ მოქმედ კანონს, შესაბამის წესდებას, რეგისტრაციის მოწმობას, დებულებასა თუ სხვა დოკუმენტს (მათში შეტანილი ცვლილებების ჩათვლით), რომელიც მისთვის ძალაშია, ან მისი საზედამხედველო ორგანოს ან კორპორატიული მმართველი ორგანოს ან მისი პარტნიორების ნებისმიერ გადაწყვეტილებას, ან ნებისმიერი სასამართლოს, საჯარო დაწესებულებისა თუ არბიტრაჟის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, ნორმატიულ აქტს ან ბრძანებას;
- 3.2.2. ეწინააღმდეგება ნებისმიერ ლიცენზიას (მოქმედი ლიცენზიების, ნებართვების, კონტრაქტების და უზრუნველყოფების ჩათვლით) ან „მხარისათვის“ სავალდებულო ან მომავალში სავალდებულო სხვა ინსტრუმენტსა თუ დოკუმენტს და არ გამოიწვევს მათ დარღვევას, მათი რომელიმე პირობისა თუ დებულების შეწყვეტას ან შესრულების ნებისმიერ დაჩქარებას;
- 3.2.3. „მხარეთა“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა, გადაცემა და შესრულება არ საჭიროებს საქართველოს რომელიმე მარეგულირებელი ან მმართველობითი ერთეულის ან სააგენტოს, რომლის იურისდიქციაშიც ექცევა „მხარე“ ან წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული გარიგება, თანხმობას ან დამტკიცებას, გარდა ისეთი თანხმობის ან დამტკიცებისა, რაც უკვე მოპოვებულია შესაბამისი „მხარის“ მიერ;
- 3.2.4. „მხარეს“ მისთვის ძალაში მყოფი არცერთი კონტრაქტის, ხელშეკრულებისა თუ სხვა ინსტრუმენტის პირობები ხელს არ უშლის, რომ მან ხელი მოაწეროს წინამდებარე „ხელშეკრულებას“ ან შეასრულოს მასში მითითებული ტრანზაქცია;

- 3.2.5. „მხარის“ მიმართ არ არსებობს არც მიმდინარე და არც მოსალოდნელი რაიმე ქმედება, სარჩელი, გამოძიება ან სხვა პროცედურები, ან სასამართლოსა თუ სამთავრობო დაწესებულების მიერ „მხარესთან“ ან მის ქონებასთან დაკავშირებით მიღებული რაიმე ბრძანება, გადაწყვეტილება თუ განჩინება, ან ფაქტები და გარემოებები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საჩივარს, ქმედებას, სარჩელსა თუ პროცედურას, რომლებსაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ აღნიშნულ ტრანზაქციაზე.
- 3.3. **“წილთან” და „საზოგადოებასთან“ დაკავშირებით, „გამყიდველი“ „მყიდველის“ წინაშე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:**
- 3.3.1. „გამყიდველი“ წარმოადგენს „წილის“ მესაკუთრეს;
- 3.3.2. „გამყიდველს“ გააჩნია საკუთრების უფლება გასაყიდ „წილზე“ და კანონიერი უფლება ამ „წილის“ გასხვისებაზე, რომელიც თავისუფალია გირავნობის, ყადაღის და უფლებრივი ტვირთისაგან, თავდებობის ან „გამყიდველზე“ მხოჭავი ძალის მქონე ნებისმიერი სხვა მოთხოვნისაგან; და გასაყიდი „წილის“ „მყიდველისათვის“ გადაცემისთანავე მათზე გადავა ნამდვილი საკუთრების უფლება თავისუფალი ყოველგვარი გირავნობის, ყადაღის და უფლებრივი ტვირთისაგან ან მესამე პირის ნებისმიერი სხვა მოთხოვნისაგან;
- 3.4. თითოეული „მხარე“ მეორე „მხარის“ წინაშე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის ყოველი განაცხადი “ხელშეკრულების” და „ნასყიდობის ფასის“ გადახდის დღის მდგომარეობით არის ნამდვილი, ზუსტი, სრული და ერთმნიშვნელოვანი და წინამდებარე “ხელშეკრულების” მიზნებისათვის, ნებისმიერი ფაქტი თუ გარემოება რასაც შესაძლოა მოჰყვეს რომელიმე „მხარისათვის“ არსებითად საზიანო შედეგი ჩაითვლება გაცხადებულად.
- 3.5. ყოველი გარანტია გაცემულია ცალკე და სხვა გარანტიებისგან დამოუკიდებლად და არ იზღუდება სხვა ნებისმიერი გარანტიით თუ რომელიმე გარანტიასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებით, ან წინამდებარე “ხელშეკრულების” რომელიმე სხვა დებულებით, თუ “ხელშეკრულება” სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

#### 4. ზიანის ანაზღაურება

- 4.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მე-3 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარანტიის ნებისმიერი ფორმით დარღვევის ან „მხარის“ მიერ გაკეთებული თუ აღებული რომელიმე სხვა განცხადების, გარანტიის, შეთანხმებისა თუ ვალდებულების ნებისმიერი ფორმით დარღვევის შემთხვევაში, ასეთი „მხარე“ სრულად აუნაზღაურებს დაზარალებულ „მხარეს“ ამგვარი დარღვევით ან ასეთ დარღვევასთან დაკავშირებით განცდილ ზიანს.
- 4.2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, “ზიანი” განისაზღვრება, როგორც დაზარალებული „მხარის“ მიერ განცდილი ზიანისა და გაცდენილი მოგების სრული ოდენობა იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენს მეორე „მხარის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის პირდაპირ შედეგს და მათი გათვალისწინება

შესაძლებელი იყო წინამდებარე “ხელშეკრულების” შესაბამისი ვალდებულებიდან გამომდინარე.

## 5. ხარჯები

„მყიდველი“ გაიღებს „წილის“ გადაცემასთან და დარეგისტრირებასთან, ასევე წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმების ხარჯებს.

## 6. უფლების გადაცემა

არცერთი „მხარე“ არ არის უფლებამოსილი მესამე პირს დაუთმოს წინამდებარე “ხელშეკრულებიდან” გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

## 7. “ხელშეკრულების” მთლიანობა

წინამდებარე “ხელშეკრულება” წარმოადგენს “ხელშეკრულების” საგანთან დაკავშირებით „მხარეთა“ შორის არსებულ მთლიან და ერთადერთ შეთანხმებას და ცვლის და აუქმებს „მხარეთა“ ან ერთ-ერთი მათგანის მიერ აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით (წერილობითი ფორმის შემთხვევაში, როგორც პროექტის, ისე დასრულებული სახით), მიღწეულ ყველა წინა შეთანხმებას, აღებულ ვალდებულებას, ურთიერთგაგებასა და გაკეთებულ განცხადებას.

## 8. ცვლილებები, უფლებაზე უარის თქმა

წინამდებარე “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული უფლებების ან დებულების არცერთ ცვლილებას, დამატებას, მოდიფიცირებას, ან უფლებაზე უარის თქმას ძალა არ აქვს „მხარეებისათვის“ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ყველა მხარის მიერ წერილობითი ფორმით არის დადებული და მათი ხელმოწერებით დადასტურებული.

## 9. „ხელშეკრულების“ ცალკეული ნაწილის ბათილობა ან გაუქმება

- 9.1 იმ შემთხვევაში, თუკი ამ „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი ან გაუქმდება ნებისმიერი კანონის, ბრძანების ან წესის საფუძველზე მთლიანად ან ნაწილობრივ უკანონობის ან აღუსრულებადობის გამო, აღნიშნული არ გამოიწვევს „ხელშეკრულების“ ან მისი სხვა პუნქტის ბათილობას ან გაუქმებას.
- 9.2 ნებისმიერი ასეთი არაკანონიერი თუ აღუსრულებადი დებულება შეიცვლება სხვა დებულებით, რომელიც ეკონომიკურად და იურიდიულად თავისი სასურველი შინაარსით ყველაზე უფრო ახლოს დგას ამ არაკანონიერ ან განუხორციელებელ დებულებასთან.

## 10. დავათა გადაწყვეტა და მოქმედი სამართალი

- 10.1 წინამდებარე “ხელშეკრულება” რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.2 “ხელშეკრულების“ „მხარეები“ შეეცდებიან მორიგების გზით გადაწყვიტონ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გზით დავის მოწესრიგება არ მოხერხდა, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ეგზემპლარები

წინამდებარე “ხელშეკრულება” გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან მხარეებს გადაეცემათ თითო ეგზემპლარი ხოლო ერთი წარედგინება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“.

### მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

--	--